პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 265 (10351)

ორშაბათი, 7 ნოემბერი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს!

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი

ამხანაგ ნ. მ. პაგანოვიჩის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1955 წლის 6 ნოემბერს

I.

ამხანაგებო! გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა კაცობრიობის ბედისათვის უფრო დიდი მოვლენა, ვიდრე ოქტომბრის რევოლუცია იყო. არასოდეს კლასობრივ ბრძოლას არ მიუღია ისეთი ღრმა ხასიათი და ამ ბრძოლის ტალღა ისეთ სიმაღლეზე არ ასულა, როგორც 1917 წლის ოქტომბერში.

ბურჟუაზიულ რევოლუციებში ხალხის მასები, რომელთა ხელით და სისხლით ხდებოდა ეს რევოლუციები, ცოტა რამეს იგებდნენ ამით. ექსპლოატაციის ერთი ფორმა იცვლებოდა მეორით, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა, იმიტომ რომ ურყევი რჩებოდა ექსპლოატატორული კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე.

ექსპლოატაციის მოსპობად არ კმარა იმის შეგნება, რომ იგი უსამართლოა, არ კმარა პროტესტის გამოცხადება მის წინააღმდეგ, არ კმარა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გეგმების შედგენა, როგორც ამას აკეთებდნენ დიდი უტოპისტი სოციალისტები. უნდა ამოითხაროს ექსპლოატაციის ფესვი.

სწორედ ამიტომ დიდი მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კომუნისტებისათვის „საქმე იხება არა კერძო საკუთრების შეცვლას, არამედ მის მოსპობას, არა კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვას, არამედ კლასების მოსპობას, არა არსებული საზოგადოების გაუმჯობესებას, არამედ ახალი საზოგადოების დაარსებას“.

დღეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის დღეს, ჩვენ, კომუნისტები და სპჭოთა კავშირის მთელი ხალხი, ვამაყობთ იმით, რომ ღირსეულად შევასრულეთ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების მარქსისა და ენგელსის ეს ანდერძი. **(ტაში).**

ბოლშევიკური პარტიის, მისი გენიალური ბელადის ლენინის ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ მოსპეს მემამულეთა და კაპიტალისტთა საკუთრება და მათი სახელმწიფო, დაამყარეს სპჭოთა ხელისუფლება, პრინციპულად ახალ საფუძველზე გარდაქმნეს საზოგადოება და წარმატებით ააშენეს სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში.

მრავალმილიონიანი სპჭოთა ხალხის 38 წლის გამოცდილებამ პრაქტიკით დაამტკიცა სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების უპირატესობანი კაპიტალისტური საკუთრების წინაშე, რომელმაც ისტორიულად მოჭამა თავისი დრო.

მილიონობით დამონებულთ მრავალ ათეულ და ასეულჯერ უცდიათ დაემხოთ ექსპლოატატორები, მაგრამ დამარცხებულან. ისტორიამ იცის ძველი მსოფლიოს მონებისა და პლებეების აჯანყებანი, გლეხთა აჯანყებანი და სხვა რევოლუციური მოძრაობანი, მაგრამ ყველა ისინი მარცხდებოდნენ, ზღვა სისხლი იღვრებოდა, გამარჯვება კი არ იყო. მძიმე ხვედრი, სიბნელე რჩებოდა, ხალხის ტანჯვა გრძელდებოდა და მონობისაგან ხსნა არ იყო, ძალაუფლება ექსპლოატატორთა კლასის ხელში რჩებოდა.

ამ დამარცხებათა მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მშრომელებს არ ჰქონდათ ნამდვილი მტკიცე კლასობრივი ძალა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

მხოლოდ მაშინ, როცა ისტორიულ ასპარეზზე გაჩნდა სამრეწველო პროლეტარიატი, — ყველაზე ჩაგრული და ექსპლოატირებული, მაგრამ ამასთანავე თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მჭიდროდ დარაზმული და რევოლუციური კლასი, მშრომელთა რევოლუციურმა მოძრაობამ პროლეტარიატის სახით ჰპოვა ნამდვილი ხელმძღვანელი ძალა, რომელიც აერთიანებს და წინ მიუძღვის ექსპლოატირებული მოსახლეობის დაქსაქსულ და ჩამორჩენილ ფენებს.

წელს, როცა საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ სახელოვან ორმოცდამეათე წლისთავს რუსეთის 1905 წლის რევოლუციისას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია“ იყო, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობას.

მუშათა კლასის მასწავლებლების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის და მათ მიერ შექმნილი კომუნისტთა პარტიის დიდი დამსახურება ის არის, რომ მათ თავიანთი მოძღვრება მუშათა კლასის, როგორც ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებული მასების, პირველ რიგში გლეხობის, ბელადის როლის შესახებ მიიყვანეს ლოგიკურ ბოლომდე, იმ მოძღვრებამდე, რომ „კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად მივყავართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე**“ (მარქსი). „მარქსისტი მხოლოდ ის არის, — წერდა ლენინი, — ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას **პროლეტარიატის დიქტატურის** აღიარებამდე **განავრცობს.** ეს არის მარქსისტის ყველაზე ღრმა განსხვავება ჩვეულებრივი წვრილი (და აგრეთვე მსხვილი) ბურჟუისაგან“ (თხზ., ტ. 25, გვ. 506-507).

ეს არის მთავარი მარქსიზმ-ლენინიზმში და ძირითადი ოქტომბრის რევოლუციაში. პარტიის დაუცხრომელმა მუშაობამ ხელისუფლების მოპოვებისათვის პროლეტარიატის მოსამზადებლად, შეურიგებელმა ბრძოლამ ოპორტუნიზმის ყველა ნაირსახეობისა და გამცემლობის წინააღმდეგ პროლეტარიატის რიგებში უზრუნველყო რევოლუციის მიყვანა ხელისუფლების მოპოვებამდე — პროლეტარიატის დიქტატურამდე. ამან განამტკიცა ოქტომბრის მონაპოვარნი და უზრუნველყო სოციალიზმის აშენება და ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა გამარჯვება.

რევოლუციის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურამ გამოავლინა პირველი თავისი მხარე — ძალადობითი მხარე. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა ძალადობით არ ამოიწურება და არ არის უმთავრესად ძალადობა. გამოიყენა რა პროლეტარიატის დიქტატურის მეორე და მესამე მხარე, მუშათა კლასმა თავისი ძალაუფლება გამოიყენა იმისათვის, რომ აეშენებინა სოციალიზმი, საბოლოოდ გადაეყვანა თავის მხარეზე მთელი მშრომელი მასები, განსაკუთრებით გლეხობა, განამტკიცა გლეხობასთან თავისი კავშირი, რომელიც იყო და რჩება პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპად.

პროლეტარულმა დიქტატურამ შეასრულა თავისი როლი ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ჩაგრული ერისა და ხალხის მიმართაც და უზრუნველყო მათი ეროვნული თავისუფლება და ახალი, სოციალისტური ერების მშენებლობა.

ოქტომბრის რევოლუციამ, როგორც დიდმა წყალსავსე მდინარემ, შეაერთა სამი ნაკადი: მემამულეთა წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლის მძლავრი ნაკადი, ჩაგრული ერების ბრძოლა მეფის „ხალხთა საპყრობილის“ წინააღმდეგ სოციალისტური პროლეტარული რევოლუციის მძლავრ ნაკადთან.

სპჭოთა ხელისუფლების 38 წელიწადში ჩვენი სამშობლო ეკონომიურად სუსტად განვითარებული, აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-კოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ქვეყნად. ჩვენი სამშობლო მთელი მსოფლიოს ხალხთა ჩირაღდანი და იმედი გახდა. **(მქუხარე ტაში).**

II.

პროლეტარული რევოლუციის გენიალურმა სტრატეგმა ლენინმა, რომელმაც შემოქმედებითად შეიმუშავა მეცნიერული კომუნიზმი გამარჯვებული ოქტომბრის რევოლუციის პირობებში, შექმნა დიადი, გაბედული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა კომუნიზმის აშენებისა. ისტორიამ ცხადყო, რომ ლენინის გეგმა სწორი აღმოჩნდა.

პარტიას უწინარეს ყოვლისა იმედი ჰქონდა შინაგან-სურსებისა და განთავისუფლებული ხალხის საკუთარი ძალებისა. გარედან დახმარების მიღების იმედი არ იყო: იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთში იმპერიალისტებს შემოჰქონდათ მხოლოდ ინტერვენცია, ხოლო ფულს ისინი უხვად იძლეოდნენ მხოლოდ კონტრრევოლუციისათვის.

კომუნიზმის აშენების ლენინური გეგმის უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია. „გოელროს“ ცნობილ გეგმას ლენინმა უწოდა „პარტიის მეორე პროგრამა“. **„კომუნიზმი, — ამბობდა იგი, — არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.** ლენინი ქვეყნის ელექტროფიკაციად გულისხმობდა კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნას, მსხვილი და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარებას მოწინავე ტექნიკისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების საფუძველზე. ამასთან იყო დაკავშირებული მილიონობით წვრილი გლეხური მეურნეობის კოოპერირების ლენინური გეგმა და კულტურული რევოლუციის განხორციელება.

ამ გეგმის შემქმედი, თვითონ ლენინი, ვერ მოესწრო მის სრულ განხორციელებას. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ შექმნილმა ბოლშევიკურმა პარტიამ მისი ერთგული თანამებრძოლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ლენინური გეგმა.

ჩვენს სახელმწიფოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ელექტროენერგიის წარმოების მხრივ. ახლა მას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში. მეხუთე ხუთწლედში ელექტროენერგიის წარმოება დიდდება 84 პროცენტით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა და ამუშავდა დიდი და საშუალო სიმძლავრის 300-ზე მეტი ელექტროსადგური, მათ შორის 90 ჰიდროელექტროსადგური.

მარტო კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური მოგვცემს 11,4 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, რაც ექვსჯერ მეტია, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი იძლეოდა 1913 წელს. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები მწყობრში ჩადგება მიმდინარე, 1955 წელს.

ჩვენ კვლავაც კიდევ უფრო მეტი მასშტაბით განვავითარებთ ელექტროფიკაციას. მომავალ ხუთწლედში გაჩაღდება მშენებლობა და ამუშავდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები მდინარე ანგარაზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ, რომ 1920 წელს ინგლისელი მწერალი ჰ. უელსი წერდა: „ლენინი, როგორც მართლმორწმუნე მარქსისტი თუმცა უარყოფს ყოველგვარ „უტოპიას“, მაგრამ ბოლოს თვითონ გადავარდა ელექტრულ უტოპიაში — იგი ყოველი ღონით უჭერს მხარს რუსეთში გიგანტური ელექტროსადგურების მოწყობის გეგმას. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო გაბედული პროექტი ვრცელ, ვაკე ქვეყანაში, სადაც დაუსრულებელი ტყეები და წერაკითხვის უცოდინარი გლეხებია, სადაც ტექნიკა სრულიად უმნიშვნელოდ არის განვითარებული და მრეწველობა და ვაჭრობა მომაკვდავია... რუსეთში მისი (ელექტროფიკაციის) გამოყენება შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ძალიან მდიდარი ფანტაზიის საშუალებით. მე პირადად არაფერი ამის მსგავსი არ შემიძლია წარმოვიდგინო“.

წარმტაცი უტოპიური რომანების პატივცემულ ავტორს უელსს შეეძლო ფანტაზირება პლანეტა მარსის შესახებ, მაგრამ უნარი არ ეყო მოძავალი დაენახა რუსეთის რეალურ მიწაწყალზე. რა შეზღუდული გვეჩვენებიან ახლა ეს ბატონები, და მეცნიერული რევოლუციური აზრის, დიად რევოლუციურ შემართებათა რა ტიტანად აღმართულა საუკუნეებზე გენიალური, ჩვენი მარად საყვარელი მამა ვლადიმერ ილიასძე ლენინი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ყოველივე ამას კარგად უნდა დაუფიქრდნენ ყველა ისინი, ვინც დღეს ქედმაღლურად უყურებს ჩინელი ხალხისა და მისი მთავრობის ღონისძიებებს — განახორციელონ თავიანთი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ელექტროფიკაცია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქედმაღალი ვაჟბატონები ისევე იმედგაცრუებული დარჩებიან, როგორც ისინი, ვინც ირონიით გვეკიდებოდა ჩვენ. დიდი ჩინელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამხ. მაო ძე-დუნის მეთაურობით მიაღწევს სოციალიზმის გამარჯვებას, როგორც მას მიაღწია საბჭოთა ხალხმა. **(მქუხარე ტაში).**

ლენინის წინასწარმეტყველება განხორციელდა. ის, რაც 1920 წელს იწარმოებოდა მთელი წლის განმავლობაში, 1955 წელს იწარმოება: ელექტროენერგია — ერთ დღეღამეში; თუჯი — 1,5 დღეღამეში; ქვანახშირი — 8 დღეღამეში; ნავთობი — 20 დღეღამეში; შაქარი — 7 დღეღამეში.

კომუნიზმის აშენების ლენინური გეგმა გახდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამა, და იგი წარმატებით სრულდება. ოქტომბრის 38-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი ეგებება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებით.

სამრეწველო წარმოების დონე 1955 წელს შეადგენს 184 პროცენტს 1950 წელთან შედარებით და 318 პროცენტს 1940 წელთან შედარებით; წარმოების საშუალებათა წარმოება — 189 პროცენტს, და მოხმარების საგნების წარმოება — 176 პროცენტს 1950 წელთან შედარებით.

მაგრამ წარმატებათა შედეგების შეჯამებისას ჩვენ უნდა გვახსოვდეს ლენინის ანდერძი, რომელიც ამბობდა, რომ „დიდი რევოლუციის წლისთავი რომ ვიდღესასწაულოთ, ამის საუკეთესო საშუალებაა — ყურადღება მივაპყროთ მის გადაუჭრელ ამოცანებს“. ეს გადაუჭრელი ამოცანები ჩვენს წინაშე დასახულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა სპჭოს მთელ რიგ დადგენილებებში.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე თავის პლენუმებზე ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებათა გამო გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის ნაკლოვანებანი და მიიღო მთელი რიგი დიდი გადაწყვეტილებანი.

მრეწველობის საკითხებზე მიმდინარე, 1955 წლის ივლისში განხილულ იქნა ამხ. ბულგანინის მოხსენება და მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილება, რომელშიც გამოვლინებულია შირითადი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს მრეწველობას უფრო სწრაფ წინსვლაში, და შემუშავებულია მისი მუშაობის გაუმჯობესების სერიოზული ღონისძიებანი.

ჩვენმა მრეწველობამ, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობამ, რომელსაც ვუყვიდით, როგორც საყვარელ ბავშვს, როგორც კომუნიზმის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისა და დამოუკიდებლობის საფუძველთა საფუძველს, ღირსეულად გაამართლა თავისი დანიშნულება და კვლავაც გაამართლებს.

მაგრამ მიღწეული წარმატებები ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდია, მოთხოვნილებები განუწყვეტლივ იზრდება, და ეკონომიურად ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამიტომ არ შეიძლება ვიყოყოჩოთ. ჩვენ გაბედულად უნდა ვამხილოთ საკუთარი ნაკლოვანებანი. რათა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ ისინი. აღმავალ კლასს არ აშინებს კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკა აშინებს დაღმავალ კლასს.

ნაკლი ბევრია. ეს არის უწინარეს ყოვლისა ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიის ნელა ათვისება და დანერგვა, სიმძლავრეთა რეზერვების არასრული გამოყენება, მუშაობის არარიტმულობა. ნაკლოვანებანი საწარმოო ძალებს განლაგებაში. სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მხრივაც.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ნაკლოვანებათა წარმატებითი ლიკვიდაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მას მემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა ახალი სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა, ჩვენი ძეურნეობის წინსვლის მთავარი საკითხებია ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა და წარმოებისა და შრომის უკეთესი ორგანიზაცია.

საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავადიდოთ ტექნიკურად პროგრესული მოწყობილობის წარმოება მძიმე და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის, რათა ადამიანებს შევუმსუბუქოთ შრომა და იგი ეღირო ნაყოფიერი გავხადოთ. ეს ეხება, მაგალითად, მოწყობილობის სამსხმელო, სამჭედლო-საწნეხ, საამწეო, სამთამადნო სახეობებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების ახლანდელ ეპოქაში ჩამორჩენა კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში ჩამორჩენის მომასწავებელი იქნებოდა. სპჭოთა და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების მხოლოდ სწრაფად და ფართოდ დანერგვით შევძლებთ მივაღწიოთ კაპიტალიზმთან შედარებით შრომის ამ მაღალ ნაყოფიერებას, რომელიც საჭიროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

შრომის ნაყოფიერება ჩვენში 1955 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა მრეწველობაში ორჯერ და 1950 წელთან შედარებით 44 პროცენტით. მაგრამ ჩვენ ვერ ვიყენებთ ყველა რეზერვს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ამის მთავარი მიზეზებია, გარდა ახალი ტექნიკურ არასაკმაოდ შეიარარებისა, სერიოზული ნაკლოვანებანი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, შრომის მოწინავე მეთოდების არასაკმაოდ მასობრივი დანერგვა.

საჭიროა გავაუმჯობესოთ თვით შრომის ორგანიზაცია და შემდგომ განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება. მეთოდები მოწინავე ადამიანებისა, რომელთა შრომის ნაყოფიერება ერთიორად აღემატება სამუალო მუშის ნაყოფიერებას, მასობრივი მოვლენა უნდა გახდეს. ყოველივე ეს ეხება არა მარტო მრეწველობას, არამედ ტრანსპორტსაც და სოფლის მეურნეობასაც.

ჩვენი ტრანსპორტი — რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო — მეხუთე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, გეგმებს ასრულებს. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1955 წელს 1950 წლის ტვირთბრუნვას აღემატება 60 პროცენტით. მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებებია გეგმის შესრულებაში ტვირთების სახეობათა მიხედვით. გამტარუნარიანობის ზრდის მიუხედავად, მას ჯერ კიდევ საკმაოდ სრულად ვერ ვიყენებთ, ტრანსპორტის ტექნიკური დონე ჩამორჩება სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს.

უახლოესი პერიოდის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებასთან და დიდი ნაკლის — მეტისმეტად შორი და არარაციონალური ტვირთზიდვის ლიკვიდაციასთან ერთად, ტექნიკურად ხელახლა შევაიარაღოთ ტრანსპორტი, გავაჩაღოთ რკინიგზების ელექტროფიკაცია, უფრო ფართოდ დავნერგოთ ავტომატიკა, გავავითაროთ წარმოება და შევაიარაღოთ ტრანსპორტი მძლავრი თანამედროვე თბომავლებით, ელექტრომავლებით, ახალი ტიპების საზღვაო და სამდინარო გემებით, დიდი ტვირთამწეობის ვაგონებითა და ავტომობილებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტრანსპორტის მუშაკები მიაღწევენ ტრანსპორტის ახალ აღმავლობას.

ოქტომბრის რევოლუციის 38-ე წლისთავს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა ახალი გამარჯვებებით ხვდება. კოლმეურნე გლეხობა გულმოდგინედ მუშაობს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

პარტიამ უკანასკნელ წლებში მიიღო დიდი გადაწყვეტილებანი და გაძლიერებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, და ამ ღონისძიებებმა უკვე იჩინა თავი.

ნათესი ფართობი სსრ კავშირში 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 27 პროცენტით, მათ შორის ათვისებულია 30 მილიონზე მეტი ჰექტარი უამირი მიწები. სიმინდის ფართობი 1954 წელთან შედარებით გადიდდა ოთხჯერ და უფრო მეტად. იზრდება მეცხოველეობა.

ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, რომ სიმინდს უდიდესი მნიშვნელობა და დიდი მომავალი აქვს ჩვენს ქვეყანაში, უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის განვითარებისათვის. მიმდინარე 1955 წელს, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, განსაკუთრებით ყაზახეთში, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში აღებულია უფრო დიდი მოსავალი, ვიდრე შარშან, — პირველი ნოემბრისათვის პური დამზადებულია 129 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

მაგრამ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მიღწეული, რადგან სოფლის მეურნეობის ახლანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნილებას სურსათსა და ნედლეულზე, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გავაფართოოთ ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სახალხო მოხმარების სხვა საგნების წარმოება. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებასა და გამოყენებაში და შრომის ეკონომიურ ორგანიზაციაში და, რაც მთავარია, მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საჭიროა პირველ რიგში გავადიდოთ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა, უზრუნველვყოთ მეცხოველეობის აღმავლობა და გავაუმჯობესოთ ტექნიკის გამოყენება. ეს უზრუნველყოფს კოლმეურნეთა შეძლებულობის გადიდებას და ნედლეულსა და სურსათზე ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მძლავრ საკოლმეურნეო წყობილებას შეუძლია ამ ამოცანების გადაჭრა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი პარტია და მთავრობა 1955 წელსაც, ისევე როგორც წინათ, ზრუნავდნენ საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდისა და ფასების შემცირების შესაბამისად დიდდებოდა ჩვენს ქვეყანაში საქონელბრუნვაც. საცალო საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შესრულდა.

მაგრამ მოსახლეობის უკით მომსახურებას ხელს უშლის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, მაგალითად, ის, რომ საკმაოდ არ არის შესწავლილი მშრომელთა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი

ამხანაგ ნ. მ. პაგანოვიჩის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1955 წლის 6 ნოემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

და საქონელს დროზე ვერ აწვდიან მომხმარებლებს. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი მრეწველობაში 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 39 პროცენტით, 1940 წელთან შედარებით 91 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი (ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით) 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 50 პროცენტით და 1940 წელთან შედარებით 122 პროცენტით.

1940 წელთან შედარებით სამნახევარჯერ და მეტად გადიდდა სახელმწიფოს ასიგნობანი სოციალურ-კულტურული საჭიროებებისათვის — უფასო სწავლებისა და სტიპენდიებისათვის, უფასო სამედიცინო მომსახურებისა და საგზურებისათვის, შვებულებათა ანაზღაურებისათვის.

პარტია და მთავრობა კარგად ხედავენ, რომ ყველა ამ საკითხში ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიწევია იმ დონისათვის, რომელიც გვესაჭიროება, ე. ი. საბჭოთა ადამიანების მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ ჩვენ ყოველ წელიწადს წინ მივდივართ და მთავარია ის, რომ ჩვენს სისტემას ყველა შესაძლებლობა მოეპოვება განუწყვეტლივ ზარდოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ უნდა ვაქციოთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დაუცხრომლად მუშაობენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ეს განსაკუთრებით ეხება საბინაო საკითხს. ხუთწლედის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 150 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. და მდგომარეობა ბინების მხრივ ჩვენში მაინც ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის, ამიტომ მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საბინაო მშენებლობის საქმის გაუმჯობესება. მშენებლებმა პირნათლად უნდა შეასრულონ ეს ამოცანა სხვა სამშენებლო ამოცანებთან ერთად. მათ უნდა გააიაფონ მშენებლობა და გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის რევოლუციის 38-ე წლისთავს ხვდება ახალი წარმატებებით კულტურული განვითარების დარგში. იზრდება სკოლების ქსელი და მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. იფურჩქნება საბჭოთა ქვეყნის ხელოვნება და ლიტერატურა, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ ასახავენ ხალხის კულტურის საერთო ზრდას.

ჩვენ ვდგავართ ახალი, მეექვსე ხუთწლედის წინაშე. სახელმწიფოს ამოცანები მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში კიდევ უფრო ფართოვდება. ამიტომ სახელმწიფო აპარატის მუშაობა უნდა უმჯობესდებოდეს.

მუდმივი განუყრელი კავშირი ხალხთან, მშრომელთა უაღრესად ფართო მასებთან, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებენ და კიდევ უფრო დიდ როლს უნდა ასრულებდნენ პროფესიული კავშირები, ქალები, რომლებსაც დიდი ადგილი უკავიათ ჩვენს მშენებლობაში, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, რომელსაც არ უნახავს კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ რომელმაც კარგად იცის, წარმატებით როგორ აშენოს სოციალიზმი.

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ და განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფო, რათა წარმატებით შეასრულოთ როგორც საშინაო, ისე საგარეო ამოცანები. მის გამოცდილებასა და პრაქტიკას იყენებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. იზრდება სამეურნეო ურთიერთობა და საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ამ ქვეყნებთან.

ჩვენი კავშირი და ურთიერთობა აგებულია ახალ პრინციპებზე —. ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და ეკონომიური განვითარების გეგმების კოორდინაციის პრინციპებზე, ხალხთა სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის ურთიერთპატივისცემის პირობით.

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინირების სისტემა და პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნებთან სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შეჯიბრების თვალსაზრისით. არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაც განუხრელად მიდის ახალი, მძლავრი ეკონომიური აღმავლობის გზით. იქმნება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ახალი სისტემა.

დარწმუნებული ვართ, რომ ორი სისტემის შეჯიბრებაში გამარჯვება სოციალისტური მეურნეობის უფრო პროგრესული სისტემის მხარეზე იქნება. ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში შესრულდება. **(ხანგრძლივი ტაში).**

III.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები ცხადყოფენ სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ორი სისტემის მეურნეობის განვითარებაში ჩვენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მაჩვენებლებს ვხედავთ.

კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის ინდექსმა 1954 წელს 176 შეადგინა 1929 წლის დონესთან შედარებით, რაც მიღებულია ასად. სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ინდექსმა კი 1929 წელთან შედარებით 1954 წელს შეადგინა 1.785, ე. ი. გადიდდა თითქმის 18-ჯერ.

საბჭოთა კავშირში ამ წლების მანძილზე სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი კაპიტალისტური ქვეყნების შესაბამისი პერიოდის მატების საშუალო წლიურ ტემპზე 5-ჯერ და უფრო მეტი იყო. თუმცა ცნობილია, რომ 38 წლიდან ჩვენი ზრდა 20 წელიწადში მოხდა, რადგან 18 წელი დასჭირდა ომებს, რომლებიც თავს მოგვახვიეს, და შემდგომ აღდგენას. ჩვენ ვიცით, რომ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით ჯერჯერობით მეორე ადგილი გვიკავია მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, რომ ბევრ რამეში ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ზრდისა და არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ჩვენი ტემპით შევასრულებთ ლენინის ანდერძს — დავეწევით და გავასწრებთ მათ ეკონომიურადაც, ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში.

საბჭოთა სოციალისტური მეურნეობა გეგმაზომიერად ვითარდება, განუწყვეტლივ და უკრიზისოდ, აქ არ არის უმუშევრობა. ამერიკის შეერთებული შტატები მდიდარი არიან, მათ მძლავრი მრეწველობა აქვთ, მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობა წყვეტილად, კრიზისების გავლით ვითარდება.

38 წლის პერიოდში კაპიტალისტურმა სისტემამ 3 მსოფლიო კრიზისი განიცადა: 1920-1921 წლებში, 1929-1933 წლებში და 1937-1938 წლებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში იყო კრიზისული მოვლენები 1948-1949 წლებში და 1953-1954 წლებში. მართალია, ეს კრიზისული მოვლენები მსოფლიო კრიზისულ მოვლენებად არ გადაზრდილა, მაგრამ ამჟამადაც არა გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ გარკვეული წონასწორობის სერიოზულ აღდგენაზე.

სამრეწველო წარმოების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აიხსნება უწინარეს ყოვლისა ისეთი ფაქტორებით, როგორიც არის მშვიდობიანი დროისათვის უმაგალითო მილიტარიზაცია ეკონომიკისა და გამალებული შეიარაღება. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის (ნატო) ქვეყნების პირდაპირი სამხედრო ხარჯების საერთო თანხა 1949 წლის 18,5 მილიარდი დოლარიდან 65 მილიარდ დოლარამდე გადიდდა 1953 წელს. მეორე მსოფლიო ომამდე იგივე ქვეყნები შეიარაღებაზე ხარჯავდნენ სულ 3,4 მილიარდ დოლარს, ე. ი. 20-ჯერ ნაკლებს, ვიდრე 1953 წელს.

ასეთი ლონისძიებანი არ შეელიან კრიზისებს, არამედ ღრმად ჩქმალავენ მათ და ამწვავებენ ყველა წინააღმდეგობას კაპიტალისტურ სამყაროში, პირველ რიგში კლასობრივ წინააღმდეგობებს. შემთხვევითი როდია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგაფიცავო მოძრაობის დონე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო ომამდელი წლების დონეზე.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1945-1954 წლებში მოხდა 43,7 ათასი გაფიცვა 27,3 მილიონი კაცის მონაწილეობით და 445 მილიონი სამუშაო დღის დაკარგვით, ხოლო 1930-1939 წლებში იყო 20 ათასი გაფიცვა 9 მილიონი კაცის მონაწილეობით და 142 მილიონი სამუშაო დღის დაკარგვით. საგაფიცავო მოძრაობა გაძლიერდა აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

1954 წლის ბოლოსათვის ოფიციალურად რეგისტრირებული სავსებით უმუშევარი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 3.230 ათასი კაცი, ხოლო პროფკავშირთა ცნობებით — 5 მილიონზე მეტი კაცი, თუ არ ჩავთვლით 13,4 მილიონ კაცს, რომლებიც არასრულ კვირას მუშაობენ.

ცხოვრება ცხადყოფს, რომ ვერავითარი განმკურნებელი საშუალებანი ვერ შეცვლიან კაპიტალიზმის განვითარების კანონებს, ვერ აღმოფხვრიან იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ახასიათებს კაპიტალიზმს, განსაკუთრებით მის იმპერიალისტურ სტადიაში, და რომლებიც სულ უფრო მწვავდება.

ამიტომ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული და თავაშვებული წრეები „გამოსავალს“ ეძებენ საერთაშორისო ვითარების გამწვავების გზებზე, სამხედრო ავანტიურებში. სწორედ ეს წრეები ახდენდნენ და ასე თუ ისე ახლაც ახდენენ ზეგავლენას დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაზე. ამის შედეგი იყო მეტად დაძაბული და საფრთხის შემცველი საერთაშორისო ვითარება 1953-1954 წლებში.

საკმარისია გავიხსენოთ ამ ორი წლის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი: პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ და მისი შეყვანა აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიული დაჯგუფების „სეატოს“ შექმნა; თურქეთ-პაკისტანის სამხედრო ხელშეკრულების დადება, რომელიც ახლა გადაიქცა 5 ქვეყნის ბლოკად და რომელშიც შედიან ირანი, ერაყი და, რაც მეტად უცნაურია... ინგლისი; სამხედრო შეთანხმებანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის ხროვას შორის, რომელიც ამერიკის სამხედრო ფლოტის მფარველობით იმალება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილ კუნძულ ტაივანზე, აგრეთვე შეთანხმებანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის იაპონიის მილიტარიზაციის დაჩქარების შესახებ.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ერთგულია მშვიდობისათვის და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების თანაარსებობისათვის ბრძოლის თავისი პოლიტიკისა, დიდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ალბანეთთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად, გზა მოუჭრა მშვიდობისათვის საშიშ ამ მოვლენებს. ზედიზედ გადადგმულ იქნა მთელი რიგი ნაბიჯები, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამასთან მიღწეულ იქნა დიდმნიშვნელოვანი შედეგები. კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა და ინდოჩინეთში ომის დამთავრება პირველი დიდი ნაბიჯები იყო ამ მიმართულებით.

გავიხსენოთ საბჭოთა მთავრობისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა მარტო უკანასკნელი წლის უმნიშვნელოვანესი ლონისძიებანი:

საბჭოთა მთავრობის 1955 წლის 10 მაისის ისტორიული წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის მეგობრული და ძმური ურთიერთობის აღდგენა სახალხო იუგოსლავიასთან და ამ ურთიერთობის შემდგომი წარმატებით განვითარება ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობისათვის, არამედ აგრეთვე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის განმტკიცებისათვის.

ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადება.

საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ჩამოსვლა და საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

საბჭოთა კავშირში ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ჩამოსვლა და საბჭოთა კავშირისა და ბირმის კარგი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

ხელშეკრულების დადება სუვერენულ, მეგობრულ სახელმწიფოთა შორის — სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარების შესახებ. სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობა 20 წლით.

საბჭოთა ჯარების გამოყვანა პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიიდან, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის პორკალა-უდის ლიკვიდაცია.

ეს მარტო ჩვეულებრივი ტიპის დიპლომატიური მოქმედება კი არ არის, არამედ საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ლენინური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ნამდვილი, დიდი აქტიურობა მშვიდობისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც ხალხთა ფართო მასები მხურვალედ იწონებენ ამ პოლიტიკას. იგი წარმოადგენს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკის განგრძობას.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ მშვიდობის ინტერესებისათვის, და რა თქმა უნდა, არა სისუსტის გამო, როგორც ამის მტკიცებას ცდილობენ იმპერიალიზმის ტრუბადურები, არამედ ჩვენი მზარდი ძალისა და ძლიერების შეგნებით, არავის არ ვურჩევთ განიცადოს ჩვენი ძალა, განსაკუთრებით იმათ, ვინც უკვე გაწიცადა იგი.

ჩვენ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვწამს საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის მთელი ბანაკის ურყევი, განუწყვეტლივ მზარდი ძლიერება. **(ტაში).**

დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშვიდობის ძალები გაიზარდნენ. ხალხების ძალა გადამწყვეტი ძალაა, ხოლო ხალხებს, მათ შორის თვით იმპერიალისტურ ქვეყნებშიც, არა სურთ იღუპებოდნენ და იტანჯებოდნენ მილიტარისტთა ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიის ყველაზე გონიერი ნაწილი, რომელიც გრძნობს, რომ მათი პოლიტიკა იწვევს ხალხების სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას, დათანხმდა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეულ შენელებაზე.

თუ უკანასკნელ პერიოდამდე არ შეიძლებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა აქტივში ჩაგვეწერა რამდენადმე სერიოზული ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, დღეს ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა აქტივს მივაკუთვნოთ მათი ქმედითი და კეთილნაყოფიერი მონაწილეობა საბჭოთა კავშირთან ერთად ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირში მიმდინარე წლის ივლისში. ჩვენს პატრიოტულ მოვალეობად მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჟენევის თათბირზე მშვიდობის საკეთილდღეოდ განსაკუთრებით თვალსაჩინოა როლი საბჭოთა დელეგაციისა, რომელმაც პირნათლად შეასრულა ჩვენი ხალხის განაწესი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთელ საერთაშორისო ცხოვრებაში. მშვიდობის ყველა მომხრე კმაყოფილებით შეხვდა მას.

მაგრამ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი თავისი საქმეებით ჟენევის თათბირის შემდეგ ჟენევის სულისკვეთებას ახორციელებდა, — შეიძლება, მაგალითად, აღინიშნოს დიდი ღონისძიება — არმიის შემცირება 640 ათასი კაცით, — ჟენევის თათბირის სხვა მონაწილეებს არათუ არ გადაუდგამთ სერიოზული ნაბიჯები, არამედ ისინი კიდევაც ორდებოდნენ ჟენევის სულისკვეთებას.

ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ თუმცა ჟენევის თათბირის შემდეგ უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მშვიდობისათვის საბრძოლველად, მაგრამ ეს არ არის უშფოთველი არსებობის სტადია, როცა მშვიდობის მტრებს არ შეუძლიათ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება.

ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისადმი, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს. საბჭოთა მთავრობას ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხი ოთხი მინისტრის ჟენევის თათბირის დიდმნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია.

ევროპის ხალხებს უფლება აქვთ მტკიცედ მოითხოვონ, რომ, ბოლოს, განხორციელდეს რეალური ღონისძიებანი ახალი ომების თავიდან ასაცილებლად, ევროპის ყველა ქვეყნის უშიშროების, პირველ რიგში იმ ქვეყნების უშიშროების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ჰიტლერელთა შესევამ დააზარალა. სწორედ ამ მიზანს ისახავს საბჭოთა წინადადებები.

რა პასუხი გასცეს ამ წინადადებებზე დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა? მეტად უცნაურია, მაგრამ მათ მოითხოვეს საქმე იმით დავიწყოთ, რომ აღვადგინოთ მილიტარიზმი მთელ გერმანიაში და გაერთიანებული რემილიტარიზებული გერმანია შევიყვანოთ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობამ უარყო და კვლავაც უარყოფს ასეთ წინადადებებს.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს თავის მთავრობას და იტყვის: ჩვენ და ევროპის სხვა ხალხებმა იმიტომ კი არ დავღვარეთ სისხლი და გავანადგურეთ გერმანული იმპერიალიზმი დიდ სამამულო ომში, რომ საკუთარი ხელით აღვადგინოთ ბგი ყველა ხალხის, მათ შორის გერმანელი ხალხის საუბედუროდ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ აღვადგინოთ გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობა. ეს საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციაა და აქედან ოდნავაც არ დავიხევთ უკან. ჩვენ დავთანხმდით ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი საკითხის განხილვა, მაგრამ დაკავშირება იმას როდი ნიშნავს, რომ უფრო დიდი საკითხი — ევროპის უშიშროების საკითხი დავუქვემდებაროთ გერმანიის საკითხს, როგორც ამას ჟენევაში ცდილობენ დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის განცხადებაში ჟენევის თათბირთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი და წინადადებანი გერმანიის საკითხის გადაჭრის გზების შესახებ. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს ამ პროგრამას. **(ტაში).**

შეიარაღების შემცირება და ატომური იარაღის აკრძალვა ახლა ხალხთა ერთ-ერთი ყველაზე საარსებო მოთხოვნაა მათს ბრძოლაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ცხობილია. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები იმას მოითხოვენ, რომ დავჯერდეთ შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესებას.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ დაწესდეს კონტროლი განიარაღებისადმი და არა კონტროლი შეიარაღებისადმი, რომელიც გრძელდება. ჩვენ ვერ დავთანხმდებით უარი ვთქვათ წინადადებაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ხალხები მოელიან არა სიტყვებს, არამედ საქმეებს, არა დეკლარაციებს განიარაღების შესახებ, არამედ ნამდვილ განიარაღებას და ატომური იარაღის აკრძალვას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ბრძოლაში განიარაღებისათვის აქტიურად დაგვიჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხები. ჩვენ მხარს დაგვიჭერენ არა მარტო ევროპის ხალხები, არამედ აზიისა და აფრიკის ხალხებიც, რომლებიც სულ უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში. **(ტაში).**

ოქტომბრის რევოლუციამ და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ისტორიული როლი შეასრულა აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასა და მათ განთავისუფლებაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აზიისა და აფრიკის ბევრმა ქვეყანამ პირველად მოიპოვა დამოუკიდებლობა. აზიისა და აფრიკის 29 ქვეყნის ბანდუნგის კონფერენციამ დიდი როლი შეასრულა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი, ჩვენი პარტია ყოველთვის ამ ქვეყნების ხალხთა მხარეზე იყვნენ მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და უწევდნენ და კვლავაც გაუწევენ მათ თავიანთ მორალურ-პოლიტიკურ დახმარებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრება დიდ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას ინდოეთის, ბირმის, ავღანეთის ხალხებთან, მთელი აღმოსავლეთის ხალხებთან. **(ხანგრძლივი ტაში).**

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების გამოცდილებამ 1955 წელს ცხადყო, რომ მთლიანად გამარდა საბჭოთა კავშირის გეზი სახელმწიფოთა შორის უთანხმოების გადაჭრისა მოლაპარაკების გზით. **(ტაში).**

მსოფლიოში ახლა არის ყველა შესაძლებლობა, რომ „ცივი ომი“ შეწყდეს და დამყარდეს ხანგრძლივი მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობა. ამისათვის საჭიროა, რომ რეაქციული იმპერიალისტური ძალები კიდევ უფრო მეტად იქნან უკუგდებულნი და რომ მთავრობებმა ნამდვილად უზრუნველყონ მშვიდობა ხალხებისათვის.

შედეგები, რომლებსაც ჩვენ ვაჯამებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოწმობენ, რომ მშვიდობისათვის და ორი სისტემის თანაარსებობისათვის ბრძოლაში მიღწეულია სერიოზული წარმატებანი. იზრდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. მტკიცდება ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა, იცის, რომ არ შეიძლება მივეცეთ თვითდამშვიდებას, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მოითხოვს სიფხიზლეს, აგრესიული პოლიტიკის მხილებას, მშვიდობის ფრონტის განმტკიცებას.

ყველა ქვეყნის ხალხებსა და მშრომელებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო იყო და არის მშვიდობის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საიმედო ბურჯი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

IV.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი სამშობლო უდიდეს მსოფლიო სამაღლეზე აიყვანა. მან განადიდა ჩვენი სამშობლო მთელი მსოფლიოს თვალში და გადააქცია წამყვან რევოლუციურ ძალად, კაშკაშა შუქურად, რომელიც კაცობრიობას უნათებს ჩაგვრისაგან, დამონებისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების შექმნის გზას.

სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მან მოახდინა და კვლავ ახდენს სულ უფრო გადამწყვეტ ზეგავლენას მსოფლიო ამბების მსვლელობაზე, კაცობრიობის და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის ისტორიულ ბედზე. დღეს მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანს მთელი არსებით აქვს შეგნებული ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე და ისტორიული მნიშვნელობა.

საბჭოთა ადამიანები — პატრიოტები, რომლებსაც უყვართ თავიანთი სამშობლო, ამავე დროს იყვნენ, არიან და იქნებიან პროლეტარული ინტერნაციონალისტები. ამიტომ ვერავინ და ვერასოდეს ვერ მოახერხებს გაწყვიტოს საბჭოთა ხალხის მჭიდრო კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასებთან და მუშათა კლასთან. **(ტაში).**

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი ჩვენი სახელმწიფო ერევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. ამგვარი მტკიცების გამავრცელებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი დიდი მასწავლებელი ლენინი „რევოლუციის ექსპორტის“ საკითხზე ამბობდა: „არიან ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია რევოლუცია წარმოიშვას უცხო ქვეყანაში შეკვეთით... ეს ადამიანები ან ჭკუაზე შეშლილნი, ან პროვოკატორები არიან“. (ტომი 27, გვ. 589).

ამხილებდა რა იმათ, ვინც „მემარცხენე“ პოზიციებიდან ლაპარაკობდა, რომ საჭიროა ჩვენი მხრივ ვაწარმოოთ „რევოლუციური ომი“, ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს წერდა, რომ „ასეთი „თეორია“ სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც ყოველთვის უარყოფდა რევოლუციების „წაბიძგებას“, რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებიან მათ წარმომშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავის მომწიფებისდა კვალად“. (ტომი 27, გვ. 66).

რევოლუციების წამბიძგებელია თვით იმპერიალიზმი. ყოველ ქვეყანაში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებისდა კვალად ირაზმებიან მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა და გამოიყოფიან საკუთარი ეროვნული, და არა გარედან „ექსპორტირებული“, — როგორც ამას სახავენ ცილისმწამებელნი, — ხელმძღვანელები, ირაზმება და ბრძოლაში იწრთობა კლასის მოწინავე ძალა — რევოლუციური პარტია.

რევოლუციურ იდეებს არა აქვს საზღვრები, ისინი მოგზაურობენ მსოფლიოში ისე, რომ არ საჭიროებენ ვიზებს და თითების ანაბეჭდებს. **(დარბაზში გამოცოცხლებაა).**

როცა მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოუშვეს, არ იყო არც რადიო, არც ტელეფონი, არც თვითმფრინავები, მაგრამ მარქსისა და ენგელსის უკვდავმა იდეებმა შეაღწიეს მსოფლიოს ყველა კუთხეში და ყველა ქვეყნის მუშათა მასების შეგნებაში. მით უმეტეს ახლა მეოცე საუკუნეში მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიადი იდეები, რომლებიც დაეუფლნენ მასებს, იმარჯვებდნენ და კვლავაც გაიმარჯვებენ. **(ტაში).**

თუ მე-19 საუკუნე კაპიტალიზმის საუკუნე იყო, მე-20 საუკუნე სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების საუკუნეა. **(ხანგრძლივი ტაში).**

სწორედ ამ იდეების ძალით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1917 წლის ოქტომბერში ჩვენი პარტია, რომელსაც სულ 240 ათასი წევრი ჰყავდა, რაც წვეთი იყო ხალხის ზღვაში, გაუძღვა მილიონობით მუშასა და გლეხს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილი იერიშის მისატანად. **(ტაში).**

მუშათა კლასმა და მთელმა ჩვენმა ხალხმა კარგად იციან, თუ რა შთამაგონებელ და მაორგანიზებელ ძალას უნდა უმადლოდნენ ისინი ოქტომბრის რევოლუციაში გამარჯვებას და მთელ თავიანთ გამარჯვებებს. მათ იციან, რომ ეს ძალაა დიადი, გმირი კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა.

ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ თუ ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მშრომელთა მრავალსაუკუნოვან ბრძოლას ვერ მოჰყვა გამარჯვება უპროლეტარიატოდ, მუშათა კლასის არსებობისასაც გამარჯვების მოპოვება არ შეიძლებოდა, თუ არ ყოფილიყო რევოლუციური, მოწინავე მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული, მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული კომუნისტური პარტია.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი პრინციპულობა, ის, რომ იგი მუდამ არის მუშებთან, მშრომელებთან, მათს მწუხარებასა და სიხარულში, ასწავლიდა მშრომელებს და სწავლობდა მათგან. საჭირო იყო რკინისებური ნებისყოფა, თავისი საქმის სიმართლის ურყევი, მეცნიერულ კომუნიზმზე დამყარებული რწმენა, მუშათა კლასისა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 1955 წლის 6 ნოემბერს. სურათზე: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. კვირიკაშვილისა.

ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენების დასასრული

...ა მთელი ხალხისადმი უდიდესი ერთგულება, რომ ...ზე მეტი წლის განმავლობაში გაევლო ისეთი სახე-...ოვანი ძლევამოსილი გზა, როგორიც განვლო ჩვენმა ...მობლიურმა პარტიამ. (ტაში).

...ი ამიტომ მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენს პარტიაზე ...ობს დიდი ლენინის სიტყვებით: „ჩვენ ვენდო-...ით ჩვენს პარტიას, ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის ...ონებას, პატიოსნებასა და სინდისს“. (ტაში).

...თუ გავიხსენებთ მშრომელი ადამიანის მთელ მრა-...ლსაუკუნოვან მძიმე ხვედრს, რა იყო უბრალო ადა-...მანი, როგორ თავისთავად იგულისხმებოდა, რომ იგი ...ეუყვანია“, რომ ასე შექმნა ღმერთმა და ასეთი უნდა ...ერჩეს უკუნითი უკუნისამდე, თუ გადავხედავთ იმას, ...ენ გახდა ჩვენი საბჭოთა ადამიანი, ქვეყნის კულტუ-...ული მოწინავე ბატონ-პატრონი, აღსავსე საკუთარი ...ღირსების გრძნობით, თავისი საყვარელი სოციალის-...ტური სამშობლოსათვის სიამაყით, მაშინ გასაგები გახ-...დება, რატომ უყვართ ასე მხურვალედ და ასეთ პატივს ...სცემენ უბრალო ადამიანები ჩვენს დიად კომუნისტურ ...პარტიას. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

...პარტია ეგებება თავის XX ყრილობას. ყრილობას ...ღირსეულ შეხვედრას უმზადებს მთელი ხალხი. მთელ ...საბჭოთა კავშირში ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სო-...ციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღ-...სანიშნავად.

...ხალხი, პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დარწ-...მენებული არიან, რომ XX ყრილობის გადაწყვეტილე-...ბანი აღაფრთოვანებენ და დარაზმავენ ჩვენს ხალხს ...კომუნიზმის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისათვის.

პარტია თავისი ბრძენი და გამოწრთობილი ცენტრა-ლური კომიტეტის მეთაურობით ერთიანი და დარაზმუ-ლი ეგებება თავის ყრილობას. (ტაში).

პარტიისა და ხალხის ერთიანობა, საბჭოთა ხალხის ერთიანობა, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან ძმური კავშირი და ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობ-რობა — აი ის მძლავრი ძალა, რომელსაც არ აშინებს არავითარი მტერი და რომელიც მოსპობს ყველა დაბრ-კოლებას მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების გზაზე. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლუცია მკაფიო, მძლავრი გამოხატულებაა ხალხის კოლოსალური ენერ-გიისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაშია დაგრო-ვებული და რომლის ძალა საუკუნეებს სწვდება. გადავ-ხედავთ რა ყოველწლიურად ბრძოლის განვლილ გზას, ჩვენ ხალხის ენერგიის, შემოქმედებისა და სიბრძნის ამ უდიდესი საგანძურიდან ვიძენთ ახალ ძალებს შემდგო-მი ბრძოლისათვის, მომავლისათვის, კომუნიზმის მომა-ვალი, ახალი გამარჯვებებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშით, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალუ-რი კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ ვიმარჯვებ-დით და კვლავაც გავიმარჯვებთ, მივდიოდით და კვლა-ვაც ვივლით წინ კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუ-ნისტურ პარტიას!“, „ვაშა!“).

გუშინ სსრ კავშირის დიდ თეატრში

...საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დი-...ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს საბჭოთა სამშობლო ხვდება ...შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში. ...დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური ...პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი, შე-...ერდა ხალხი, მტკიცე რწმენით მიდის წინ ...კომუნიზმის გზით. ღირსშესანიშნავ თარიღს ...ამით აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები, სა-...ხალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, ...მთელი დედამიწის პროგრესული კაცობრიობა.

...ფთელი ალმებით, ილუმინაციით გაფერა-...ულია საბჭოთა კავშირის დედაქალაქი — ...მოსკოვი. საზოგადოებრივი შენობების ფასა-...დებზეა მარქსის, ენგელსის, ლენინის, ...სტალინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური ...პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვა-...ნელების პორტრეტები, ტილოები საბჭოთა კავ-...შირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ...კომიტეტის მგზნებარე მოწოდებები.

...6 ნოემბრს, დიდი დღესასწაულის წინადღეს, ...სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა მოს-...კოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სა-...ზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ...ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმო-...დგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა ...დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-...ციის 38-ე წლისთავის დღესასწაულს.

...თეატრის ფრონტონს ამშვენებს თექვსმეტი ...ფეიერი დროშა მოკავშირე რესპუბლიკათა ...დროშებით.

...თეატრის დარბაზში, უზარმაზარი სცენის ...ფონზე, ...ფერმეში დროშებს შორის არის კომუნისტუ-...რი პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოცია-...ლისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ...ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის ი. ვ. ...სტალინის პორტრეტები. აქეთ-იქით თარიღე-...ბია „1917“ და „1955“. ოქროსფრად ბრწყინა-...ვენ სიტყვები: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის ...სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლის-...თავს!“.

...თეატრში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა ...და მშენებლობათა მუშები, ინტელიგენციის, ...პატიელი, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორ-...განიზაციების წარმომადგენლები, რუსეთის ...პირველი რევოლუციისა და დიდი ოქტომბრის ...ვეტერანები, მინისტრები, სსრ კავშირის უმაღ-...ესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი ...საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა არმიის მეომრე-...ბი, უცხოელი სტუმრები. დამსწრეთა შორის ...იყვნენ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ ...წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც ...ეგებებიან აირან მოსკოვში.

...საღამოს 7 საათზე იწყება საზეიმო სხდომა. ...დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდე-...ბიან ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ეროშილ-...ოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. ...ანტონოვს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ბ. არის-ტოვს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ტ. შეპილოვს, რომ-ლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

საზეიმო სხდომა გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნო

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში

4 ნოემბრის სხდომა

ჟენევა, 5 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ლუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა დღის წესრიგის პირველი პუნქტის — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვა. თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი.

ჯ. დალესმა, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ სასარგებლოდ მიაჩნია შეეცადოს შეაჯამოს დღის წესრიგის პირველ პუნქტზე დისკუსიის შედეგები.

დალესმა განაცხადა, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ 28 ოქტომბერს შემოტანილი წინადადებანი ითვალისწინებენ მჭიდრო კავშირს გერმანიის გაერთიანებასა და ევროპის უშიშროების პრობლემებს შორის და შეესაბამებიან ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივებს.

მეორე მხრივ, დალესის მტკიცებით, საბჭოთა კავშირის 28 ოქტომბრის წინადადებანი „არ ითვალისწინებენ მჭიდრო კავშირს გერმანიის გაერთიანებასა და ევროპის უშიშროებას შორის“ და თითქოს „გულისხმობენ გერმანიის გაყოფას ალბათ გაუთვალისწინებელი ვადით“.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის 31 ოქტომბრის წინადადებებს, როგორც დალესმა განაცხადა, ისინი „თუმცა წინანდებურად არ ითვალისწინებენ კავშირს გერმანიის გაერთიანებასთან, მაგრამ უფრო გარკვეით შეესაბამებიან იმის დირექტივას, რაც უშიშროებას შეეხება. ამ მხრივ ეს წინადადებანი უფრო ახლოს არიან დასავლეთის სახელმწიფოთა 28 ოქტომბრის წინადადებებთან“.

საბჭოთა კავშირს, ამტკიცებდა დალესი, არ შემოუტანია არავითარი წინადადება თავისუფალი არჩევნების საშუალებით გერმანიის გაერთიანების საკითხზე და დღემდე თავს არიდებს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადების განხილვას ამ საკითხზე. დასასრულ დალესმა აზრი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია საბოლოო არ არის, და იმედი გამოთქვა, რომ თათბირის მუშაობა წარმატებით აღმოჩნდება.

შემდეგ გამოვიდა ა. პინე, რომელიც ფრანგი ამტკიცებდა, თითქოს „საბჭოთა წინადადებანი გერმანიის გაერთიანების შესახებ ცდილობენ სამუდამო გახადონ ამ ქვეყნის გაყოფა“.

გამოთქვა რა სურვილი, რომ საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანოს თავისი შენიშვნები გერმანიაში თავისუფალი არჩევნების დასავლეთის გეგმის საკითხზე, პინემ დასასრულ განაცხადა, რომ, როგორც პირადად მიაჩნია, თათბირი თავის ამოცანას ვერ შეასრულებს, თუ დაუყოვნებლივ არ გადაწყვეტს, რომ არჩევნების გადადება ალარ შეიძლება უფრო შორს, ვიდრე მომავალი წლისთვის.

ა. პინეს შემდეგ სიტყვა მიეცა ჰ. მაკმილანს.

მაკმილანმა განაცხადა, რომ „ვერ გაუგია“, რატომ არა სურს საბჭოთა დელეგაციას შეუერთდეს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებას თავისუფალი არჩევნების გზით გერმანიის გაერთიანების შესახებ.

მაკმილანმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება მოლოტოვის შენიშვნას, რომ დასავლეთი გერმანია რემილიტარიზებულია და ვითარდება რემილიტარიზაციის გზით, მაშინ როცა აღმოსავლეთი გერმანია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. ამტკიცებდა რა, რომ დასავლეთ გერმანიაში „არ არის არმია, არ არის სამხედრო ფლოტი, არ არის სამხედრო-საჰაერო ფლოტი“, მაკმილანმა თქვა, რომ, მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოები მზად არიან „მიანჭონ ყველა გარანტია და შემოიღონ კონტროლის ყველა საჭირო ღონისძიება“.

შემდეგ ჰ. მაკმილანმა ილაპარაკა დასავლეთის სამი სახელმწიფოს დელეგაციების მიერ წარმოდგენილ „იდეის გეგმაზე“ და მთელი რიგი კითხვები მისცა საბჭოთა დელეგაციას.

შემდეგ გამოვიდა ვ. მ. მოლოტოვი. მან დაადასტურა, რომ თათბირზე მართლაც მიღწეულ იქნა დაახლოება მთელ რიგ პუნქტებში, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროებას. მაგრამ, თქვა მოლოტოვმა, შეუთანხმებელი დარჩა მთავარი საკითხები, რომლებზეც შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ... მე ვიდასტურებ, რომ ჯერჯერობით არ მიგვიღია პასუხი ძირითად საკითხებზე, თუ რა ღონისძიებანი გვსურს შევთანხმოთ ურთიერთ შორის, რათა უზრუნველყოთ ევროპის უშიშროება და გერმანიის როგორც ქვეყნიმისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანება.

შეეხო რა დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მტკიცებას, რომ სამი სახელმწიფოს პროექტის მიზანი თითქოს ის არის, რომ შესასრულოს მთავრობის მეთაურთა დირექტივები, ხოლო საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი არ შეესაბამებიან ამ დირექტივების შესრულების მიზნებს, ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ამის რაიმე დამაჯერებელი საბუთი წარმოდგენილი არ ყოფილა. მან მოიხსენია საბჭოთა მთავრობის მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შექმნა მინისტრთა თათბირის წინაშე დასაბარებლად გადასაჭრელად მოქმედებს რა მთავრობათა მეთაურების დირექტივებისა და „ჟენევის სულისკვეთების“ შესაბამისად, საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ღონისძიება თავისი არმიის 640.000 კაცით შესამცირებლად, თუმცა თათბირის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს ამ ხნის განმავლობაში მსგავსი რამ არ გუკეთებიათ, ვადამდე თქვა უარი ფინეთის ტერიტორიაზე პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, დიპლომატიური ურთიერთობა დამყარა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, რაც ხელს შეუწყობს გერმანიის პრობლემის გადაჭრას.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ უნდა მოეიოდოთ იმას, რომ მთავრობათა მეთაურების დირექტივებს მივცეთ არა ის ხასიათი, რომელიც მათ ნამდვილად აქვთ. ცნობილია, რომ როცა მთავრობათა მეთაურები დირექტივებს ადგენდნენ, სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები ცდილობდნენ გერმანიის საკითხი ევროპის უშიშროების საკითხის წინ დაეყენებინათ. ეს თვალსაზრისი არ მიიღეს, მაგრამ ახლანდელ თათბირზე დასავლეთის სამი სახელმწიფოს მინისტრები ცდილობენ სწორედ ეს თვალსაზრისი, რომელიც მთავრობათა მეთაურებმა არ მიიღეს, დასახონ ისეთ თვალსაზრისად, რომელიც თითქოს გამოთქმულია მთავრობათა მეთაურების შეთანხმებულ დირექტივებში. მთავრობათა მეთაურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საკითხს, რომ გერმანიის პრობლემის განხილვაში მონაწილეობა მიიღონ გერმანელი ხალხის წარმომადგენლებმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ შევთანხმდით ისეთ მარტივ საკითხზე, როგორიც არის ის, რომ მოვიწვიოთ გერმანელი ხალხის წარმომადგენლები, რათა მოვისმინოთ მათი აზრი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შემდეგ აღნიშნა, რომ თათბირზე გვერდი აუარეს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ დაყენებულ ამ საკითხს, რომ გერმანიიდან გაიყვანონ უცხოთის ჯარები, რათა უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნას გერმანიის ორივე ნაწილის დასახლებლად.

შეეხო რა სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხს, მოლოტოვმა თქვა: საქმე ის არის, რომ ჩვენ მარტოოდენ სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხს როდი განვიხილავთ. ჩვენ განვიხილავთ სამი სახელმწიფოს გარკვეულ პროექტს, რომელშიც სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხს დაკავშირებული მნიშვნელობა აქვს. ხელთა გაქვს საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და შეერთებული შტატების მთავრობათა წინადადება, რომელსაც ეწოდება „გერმანიის გაერთიანება და უშიშროება“. ეს წინადადება შედგება შესავალი ნაწილისაგან, ხელშეკრულების პროექტისაგან, რომელიც შეიცავს ეგრეთწოდებულ „სპეციალურ გარანტიებს გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით“, და შეიცავს აგრეთვე „იდეის გეგმას“ არჩევნების შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ უკვე აღნიშნა, როგორც დადებითი ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში სამმა სახელმწიფომ სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხი შეიტანა ევროპის უშიშროების ამოცანებთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტის ტექსტიდან, რომელშიც პირველ ადგილზე დაყენებულია ხსენებული ხელშეკრულების საკითხი, ჩანს, რომ არჩევნების საკითხს აქ აშკარად დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს. ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ამ ტექსტში ნათქვამია: ხელშეკრულება „ძალაში შევა იმ მომენტში, როცა გაერთიანებული გერმანია გადაწყვეტს შევიდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციასა და დასავლეთ ევროპის კავშირში“.

მაშასადამე, პროექტიდან ჩანს, რომ გერმანიის გაერთიანების და სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხი სამმა სახელმწიფომ დაუქვემდებარა იმ საკითხს, რომ გაერთიანებული გერმანია შევიდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებასა და დასავლეთ ევროპის კავშირში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ პარაზის შეთანხმებათა მეშვეობით დასავლეთი გერმანია უკვე შეყვანილია ნატო-ში (ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი). ახლა სურთ ჩვენგან მიიღონ იმის თანხმობა, რომ ნატო-ში შეიყვანონ მთელი გერმანია. შეუძლიათ თუ არა საბჭოთა კავშირს ან სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს ხელი შეუწყონ ამას? პასუხი ნათელია: არა. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პროექტში არაფერი არ არის ნათქვამი შინაგან წინამძღვარებზე, რომლებიც შეესაბამება ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების ამოცანებს. ის წინადადებანი, რომლებიც სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შემოიტანეს, დასაკვნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, როგორც ჩანს, შემოტანილი იყო როგორც უბრალო დეკლარაცია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ პროექტის ავტორებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მათ შემოაქვთ ისეთი წინადადება, რომელიც არ ქმნის ბაზას ჩვენი პოზიციების შესათანხმებლად არც ევროპის უშიშროების საკითხში, რომელიც ჩვენი დღის წესრიგის პირველ ადგილზე დგას და რომელიც ჩვენ მთავარ საკითხად მიგვაჩნია, არც გერმანიის საკითხში, არც გერმანიის გაერთიანების ამოცანის გადაჭრისათვის სრულიად გერმანიის არჩევნების საშუალებით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამი სახელმწიფოს პროექტში ევროპის უშიშროების საკითხი არ არის დაყენებული რეალურ ნიადაგზე. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს სხვანაირად მივუდგეთ საქმეს და გადავდგათ პირველი ნაბიჯები გერმანიის ერთიანობის აღსადგენად. სწორედ ამ მიზნებს შეესაბამება წინადადება „სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნის შესახებ“.

მას შემდეგ, რაც ვ. მ. მოლოტოვმა დამთავრა თავისი გამოსვლა, ჯ. დალესმა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა სახელით შეიტანა წინადადება სათაურით: „გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების გზით“.

დასავლეთის სამი სახელმწიფო წინადადებას იძლევა:

„1. თავისუფალი და ფარული არჩევნები მთელ გერმანიაში უნდა მოეწყოს 1956 წლის სექტემბერში სრულიად გერმანიის ეროვნული კრების წარმომადგენელთა ასარჩევად. რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონსტიტუციის პროექტი და ამ უკანასკნელის შესაბამისად შექმნას გაერთიანებული გერმანიის მთავრობა.

2. ოთხი სახელმწიფოდან თვითეული დანიშნავს წარმომადგენელს კომისიაში, რომელმაც გერმანელ ექსპერტებთან კონსულტაციით უნდა მოამზადოს საარჩევნო კანონი ამ არჩევნების ჩასატარებლად, აგრეთვე ამ არჩევნების თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიისა და მეთვალყურეობის ეფექტიანი ღონისძიებანი.

3. კომისია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავისი ფუნქციების შესრულებას და თავისი მოხსენება ოთხ სახელმწიფოს უნდა წარუდგინოს 1956 წლის იანვრისათვის“.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია უაღრესად გულდასმით შეისწავლის ამ წინადადებას და რომ ამჟამად მას შესაძლებლად მიაჩნია დასჯერდეს მხოლოდ წინასწარ შენიშვნებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა წინადადება შეიტანა მოისმინონ თათბირზე თვით გერმანელთა, როგორც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა აზრი წარმოდგენილი დოკუმენტის შესახებ.

რაც შეეხება ახალი პროექტის არსს, განაცხადა მოლოტოვმა, ახლა შეიძლება მხოლოდ ერთი რამ ითქვას, რომ ეს პროექტი არ შეესაბამება მთავრობათა მეთაურების დირექტივებს, რომლებშიც გერმანიის პრობლემა დაკავშირებულია ევროპის უშიშროების საკითხთან.

ეს პროექტი სრულიად არ არის დაკავშირებული ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ძირითად ამოცანასთან.

ამით სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა გაიმართება 8 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ბულგარეთში

სოფია, 5 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ეწინააღმდეგნენ ბულგარეთის დედაქალაქს. საღამოს ისინი დაესწრნენ პუშკინის ოპერა „ტოსკას“ სოფიის ოპერის თეატრში.

უცხოეთის დელეგაციები საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების — არლუსის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა აკადემიკოსი იონ გეორგე მაურერი.

დელეგაციის წევრები ჯგუფებად დაიყვნენ და დათვალიერეს თბილისის მეოთხე საშუალო სკოლა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სტუმრები გაემგზავრნენ ქ. რუსთავში, სადაც დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. მათ ინოგზაურეს აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკაში. დელეგაცია იყო ქალაქ ბათუმში. დათვალიერა საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმი კურორტ მწვანე კონცხზე და ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის მ. ი. კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობამ დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად. არლუსის დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა.

• • •

თბილისიდან ერევანს გაემგზავრა ჩინელ მშენებელთა დელეგაცია, რომელიც რამდენიმე დღეს იყო საქართველოში. დელეგაციას მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ქალაქის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ვან ლი.

ჩინელი მშენებლები იყვნენ თბილისის ახალშენებებზე, გაეცნენ ქართველი არქიტექტორების ნამუშევართა გამოფენას, რომელიც გაიხსნა სახელმწიფო სურათების გალერეაში, შეხვდნენ საქართველოს თვალსაჩინო არქიტექტორებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებელთა დელეგაცია ეწვია ქალაქ რუსთავს, დიდად დაინტერესდა აქ წარმოებული მშენებლობით, გაეცნო ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას.

ქალაქ მცხეთაში ჩინელმა სტუმრებმა დათვალიერეს ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები. დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ ქალაქ გორში. აქ მათ დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, ქალაქის ახალშენებანი და ბამბეულის კომბინატი.

• • •

საქართველოში სტუმრად იყო ინდოელ იურისტთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობდა ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ფაქრუდინ ალი ახმედი.

დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა მ. კ. ლომიძემ.

ინდოელი იურისტები გაეცნენ თბილისის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ისინი დაესწრნენ ბალეტ „წითელ ყაყაჩოს“.

დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ გორს, სადაც დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და სოფელ მეჯვრისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ინდოელი იურისტების დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

• • •

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივანი კენდე ფიტანი მეუღლით. კენდე ფიტანი სსრ კავშირში ჩამოვიდა უცხოთითან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

კენდე ფიტანი გაეცნო საქართველოს მშრომელთა წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. (საკდესი).

საბჭოთა კულტურის მოღვაწეები უცხოეთში გაემგზავრნენ

4 ნოემბრის მოსკოვიდან ბერლინს გაფრინდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში კონცერტებს გამართავენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები გ. ვიშნევსკაია, ი. ტიხომირნოვა, ა. ივანოვი, გ. ლედახი, პიანისტი ბ. დიდიდოვიჩი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი ვ. სოკოლოვი.

• • •

ვენის სახელმწიფო ოპერის საზეიმო გახსნაზე, რომელიც აღდგენილია ომის შემდეგ, ოპერის დირექციის მიწვევით, მოსკოვიდან გაფრინდნენ სსრ კავშირის დიდი თეატრის დირექტორი მ. ჩულაკი და კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი.

ვენაში იმავე დღეს გაფრინდა საბჭოთა ხელოვნების ოსტატების დიდი ჯგუფი, რომელიც ავსტრიის სხვადასხვა ქალაქში გამოვლენ ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს.

• • •

ფინეთს გაემგზავრა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი 25 კაცის შემადგენლობით. მათ შორის არიან სსრ კავშირის ხალხური artist ი. მასლენიკოვა, რომელიც, კონცერტებს გარდა, მონაწილეობას მიიღებს ვერდის ოპერა „ტრავიატაში“, დიდი თეატრის სოლისტები ი. ბოგდანოვი და ა. სობოლი. ვიოლინისტი მ. ვაიმანი, სსრ კავშირის ხალხური artist საბჭოთა ანსამბლის სოლისტები, აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის, მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიების, საკავშირო რადიოს მსახიობები და სხვები.

საბჭოთა ხელოვნების ოსტატები კონცერტებს გამართავენ ფინეთის მთელ რიგ ქალაქებში ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს. (საკდესი).

ჩანკაიშვილმა მეკობრეებმა დარბევა იგემეს

პეკინი, 5 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 2 ნოემბერს ჩანკაიშელთა ოთხი რეაქტიული გამანადგურებელი შეეჯახა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, გადაუარა ტუნჯუნკოუს ფუძიანის პროვინციაში და ჩამოყარა ბომბები. შემდეგ თვითმფრინავებმა გადაუარეს ხუანცის ნახევარ კუნძულს და შეეცადნენ დაებომბათ და ტყვიები დაეშინათ მისთვის.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა ცეცხლით დაუბრუნეს ორი თვითმფრინავი. თვითმფრინავებმა ბომბები ზღვაში ჩაყარეს და მიიმალნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ძვირფასი საოქტომბრო საჩუქარი



დღესასწაულის წინ რუსთავის მშრომელებმა ძვირფასი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს— მწყობრში ჩადგა მეტალურგთა კულტურის სასახლე.

...1954 წლის 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე რუსთავის ბინათმშენებელთა კოლონამ ყველას უყურადღება ამ სასახლის მოხდენილად გაფორმებული მაკეტით მიიპყრო. ერთი წლის შემდეგ კი, როცა ეს მაკეტი — პროფესორ მ. ნეპრინცევის არქიტექტურული ჩანაფიქრი ხორცშესხმულ რეალობად იქცა და მშენებლებმა მონუმენტურ ნაგებობას ხარაჩოები ჩამოხსნეს, კულტურის სასახლის სილამაზე და სიდიადე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

მოზრდილი სკვერის წინ, განიერი ქუჩის გასწვრივ, დიდ მანძილზე გაშლილი კულტურის სასახლის ორ ნაწილს სვეტებიანი ცენტრალური შესასვლელი აერთებს. აქედან შენობის ფასადის უკანა მხარეს მოჩანს 4 პექტარი ეზო-პარკი დამშენებული მრავალწლიანი, მარადმწვანე ხეებითა და ბუჩქებით, მრავალფერი ყვავილებით, სკულპტურებით, არქიტექტურულად გაფორმებული ლითონის მაღალი ღობით.

პირველ სართულზე ვესტიბიულის იატაკი მთლიანად ფერადი მარმარილოთია მოპირკეთებული. მეორე სართულზე მარმარილისავე კიბეცა და მოაჯირებს ქართული ჩუქურთმა ამკობს. მხატვრულად ლამაზად გაფორმებულ ჭერზე ბროლის ჭაღები თვალისმომჭრელად ციმციმებს და მათი ხატვანი მშენებლებ მიმზიდველად ირეკლება სარკესავით გაპრიალებულ პარკეტის იატაკზე.

კომფორტაბელურად მოწყობილი 750-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზის გარდა კულტურის სასახლეს აქვს სამეჯლისო ცეკვების, სალექციო და სასპორტო დარბაზები, სასტუმრო ოთახი, ბიბლიოთეკა, ტექნიკური კაბინეტი, სბავშვო ოთახები, საბილიარდო, 12 მოზრდილი ოთახი წრეობრივი მუშაობისათვის. სასახლის ყველა სათავსოთა საერთო ფართობი 3.780 კვადრატულ მეტრს აღემატება.

თეატრალურ ნაწილში მოწყობილია სადირიჟორო ოთახი, მსახიობთა საგრიმიორო, სადეკორაციო-სამბატვრო სახელოსნო. სცენას აქვს მოძრავი წრე, აქვს ავტომატური საშტანკეტო მოედანი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კულისების, ისე დეკორაციების ვერტიკალურ გადაადგილებას.

სასახლის მესამე სართული მთლიანად უკავია საცეკვაო ვერანდებს, სასეირნო ღია მოედნებს, რაც ანტრაკტების დროს მაყურებელთა კულტურული დასვენებისათვის არის განკუთვნილი.

კულტურის სასახლის მშენებლობაში ნაყოფიერი წვლილი მიუძღვის ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს უბნის უფროსს ე. ჩაბიჩაძეს, არქიტექტორ ვ. ჭუბაბრიას, სამუშაოთა მწარმოებელ ი. კაპელკოს, ს. ოდიშელიძის, მ. ნასონოვის, გ. მიქაძის ბრიგადებს.

5 ოქტომბერს კულტურის ახალ სახლში მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის 38-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

გ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: რუსთავის კულტურის სასახლის ხედი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

კონცერტები ღია ესტრადებზე

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში თბილისის მთელი რიგი მხატვრული კოლექტივები მომსახურებას გაუწევენ სახალხო სეირნობებს: ლენინის მოედანსა და გმირთა მოედანზე, ლენინის რაიონის პარკში და ნავთლუღის რკინიგზის სადგურის მოედანზე ეწყობა ღია ესტრადები, სადაც 7 და 8 ნოემბერს საღამოს 6-დან 10 საათამდე გაიმართება დიდი კონცერტები მრავალფეროვანი პროგრამით.

ღია ესტრადებზე კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის ყველა თეატრის საკონცერტო ბრიგადები ცნობილი მსახიობების შემადგენლობით, თბილისის სახელმწიფო ცირკში საგასტროლოდ მყოფი მსახიობები, საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, მეჩონგურე ქალთა სახელმწიფო ანსამბლი ნ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. საესტრადო ანსამბლი ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, თბილისის კონოთეატრების საესტრადო ორკესტრები, ხელოვნების მუშაკთა სახლის კოლექტივები.

თავიანთ შემოქმედებას ფართო აუდიტორიას უჩვენებენ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა საუკეთესო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, მაუდ-კამოლის კომბინატის, სართავ-სტრიკოტაჟის კომბინატის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, თბილისისა და ნავთლუღის რკინიგზის კვანძების კლუბებისა და სხვა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები.

მეგოგროგის საღამო

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა გერმანელი და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის საღამო.

საღამოს დაესწრნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები ჰელმუტ რიოდელის მეთაურობით.

საღამო გახსნა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ. შესავალი სიტყვა გერმანულ ენაზე წარმოთქვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. კაკაბაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ კოროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე მუშა გ. ლომთათიძე, გერმანულ ენაზე — უნივერსიტეტის სტუდენტი მ. მახარაძე და თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. რობაქიძე.

სიტყვით გამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციის მეთაური ჰელმუტ რიოდელი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის.

საღამოს დასასრულს სტუდენტების ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი. ნაჩვენები იქნა რამდენიმე ადგილი შილერის პიესიდან „ეროგობა და სიყვარული“ გერმანულ ენაზე.

ტრამვაის ახალი მარშრუტები

თბილისის ლენინის რაიონი მხოლოდ ერთი ხაზით უკავშირდებოდა სტალინის რაიონს, რაც ამცელებდა მგზავრობის პირობებს.

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველომ გაიყვანა ტრამვაის მეორე ხაზი — დიდუბე-ღრმაღელე.

ახალი ხაზი წრიულია. ღრმაღელის № 3 მარშრუტით ტრამვაი იქლის რკინიგზის სადგურის მოედნიდან საბჭოს, მაგნიტოგორსკის, ბრძოლის ქუჩებით რკინიგზის სადგურამდე.

დიდუბის მარშრუტით (№ 4) ტრამვაი იქლის რკინიგზის სადგურის მოედნიდან ბრძოლის, მაგნიტოგორსკის, სბჭოს ქუჩით სადგურის მოედამდე. ეს მარშრუტი წინათ აკავშირებდა სადგურის მოედანს კოლმეურნეობის მოედანთან.

მთლიანად გაუქმდა ტრამვაის მარშრუტი № 6, მიმართულება შეიცვალა იგრეთვე ტრამვაის № 8 მარშრუტმა, რომელიც მიიმართება სადგურის მოედნიდან წყალქვილ-კომბინატამდე კოლმეურნეობის მოედნის გავლით.

შამპანკომბინატის მიმართულებით იქლის ტრამვაი № 11-ა (რკინიგზის სადგურის მოედნიდან შამპანკომბინატამდე საბჭოს ქუჩის გავლით).

პარტიის XX ყრილობისა და ოქტომბრის 38-ე წლისთავის აღსანიშნავად ტრამვაელებმა შესრულეს ნაკისრი ვალდებულება — უბანი ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნიდან შამპანკომბინატამდე და დიდუბე-ღრმაღელის დამაკავშირებელი ხაზი საეშელონიტაციოდ გადასცეს 5 ნოემბერს. ტრამვაამ დაიწყო მოძრაობა ახალი მარშრუტებით.

ახალ მარშრუტებზე გამოყოფილია ექვსექვსი ტრამვაის მატარებელი.

დატარებითი ვაჭრობა დღესასწაულის დღეებში

7 და 8 ნოემბერს, მშრომელთა დემონსტრაციისა და სახალხო სეირნობის დროს მშრომელთა მომსახურების მიზნით თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე მოეწყობა კვების პროდუქტების დატარებითი ვაჭრობა.

საავაჭრო ორგანიზაციები გამოიტანენ ცხელ ღვეზელს, ბუტერბროდებს, კატლეტს, საკონდიტრო ნაწარმს, ნაყინს, ხილს, გამაგრილებელ წყლებს, ლუდს, უალკოჰოლო სასმელებს, თამბაქოს ნაწარმს და სხვ.

დატარებითი ვაჭრობისათვის თბილისის კვებავაჭრობამ, თბილბილბოსტნეულვაჭრობამ, სასადილოებისა და რესტორნების ტრესტებმა და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციებმა გამოჰყვეს 50 ავტომანქანა.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ბიუ-პარადისადმი

1955 წლის 5 ნოემბერი

№ 33

ქალაქი თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების 1955 წლის 7 ნოემბრის პარადის შესახებ

§ 1.

1955 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის დღეს, ბრძოლველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სახელმძღვანელო ოლქის ჯარების სარდალი, მეიის გენერალი ი. ი. ფედიუნინსკი.

§ 3.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მქონეს მე.

§ 4.

პარადი დაიწყება დილის 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყენებულ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო **საპარადოა.**

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

თბილისის გარნიზონის კომენდანტ გვარდიის პოდპოლკოვნიკმა ი. ტ. **კუშევმა** მოახდინოს საარტილერიო ბატალიონი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§